საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-02/287

ქ. ბათუმი 08 **-- დეკემბერი, 2022 წელი**

2022-2023 სასწავლო წელს ბსუ-ში განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილების** (ცვლილება **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/22** გადაწყვეტილებით) „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ **ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-02/104 ბრძანებით),** ,,ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობისა და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის N01-10/49 ბრძანების,** ,,ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ განაცხადის და შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-02/105 ბრძანების,** ,,სტუდენტური, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი და სპორტული სახის პროექტების ბსუ-ს 2023 წლის ბიუჯეტში ასახვის შესახებ“ **ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 30 ნოემბრის N07-01/53 გადაწყვეტილებისა** და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2022 წლის 05 დეკემბრის N1542935 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი ბსუ-ში 2022-2023 სასწავლო წლისათვის განსახორციელებელი სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული სახის პროექტების შერჩევის მიზნით და განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) სტუდენტთა განცხადებების (სტუდენტური პროექტების) და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა - **2022 წლის 20 დეკემბრიდან 2023 წლის 05 თებერვლამდე;**

ბ) საკონკურსო კომისიის მიერ სტუდენტური პროექტების შეფასება - **2023 წლის 06 თებერვლიდან 2023 წლის 13 თებერვლის ჩათვლით იანვრის ჩათვლით;**

გ) სტუდენტური პროექტების შეფასების შედეგების გამოცხადება ბსუ-ს ვებგვერდზე - **2023 წლის 15 თებერვლის ჩათვლით;**

დ) გამარჯვებული სტუდენტური პროექტების განხორციელების პერიოდი - **2023 წლის 06 მარტიდან 15 დეკემბრის ჩათვლით.**

2. სტუდენტური პროექტების წარმოდგენა (რეგისტრაცია) განხორციელდეს ელექტრონულად, ბსუ-ს პორტალზე - Portal.bsu.edu.ge-ზე (პროექტის ელექტრონულად ატვირთვა შესაძლებელია, როგორც ინდივიდუალურად, აგრეთვე ერთობლივად - საინიციტივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემთხვევაში პროექტი ავტომატურად მოიხსნება კონკურსიდან, აღარ გადაეცემა კომისიას განსახილველად, რაც წერილობით ეცნობება პროექტის ავტორს).

3. სტუდენტური პროექტის რეგისტრაციისთვის ბსუ-ს პორტალზე უნდა აიტვირთოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) **საპროექტო განაცხადი** (შედგენილი **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-02/104 ბრძანებით** დამტკიცებული ფორმის შესაბამისად);

ბ) პროექტის **საბიუჯეტო განაცხადი** (შედგენილი ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 3 მაისის N01-10/49 ბრძანებით დამტკიცებული ფორმის შესაბამისად);

გ) **სარეკომენდაციო წერილი** (პროექტს/ავტორს რეკომენდაცია უნდა გაეწიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ, რომელშიც ასახული უნდა იყოს შესაბამისი დარგისთვის/მიმართულებისთვის პროექტის მნიშვნელობის შესახებ).

დ) **სტუდენტის ავტობიოგრაფია** (CV);

ე) **ცნობა ბსუ-ს სტუდენტის აქტიური სტატუსის შესახებ;**

ვ) საინიციტივო ჯგუფის/კლუბის/ ან/და სხვა სახის გაერთიანების სახელით წარმოდგენილი პროექტის შემთხვევაში პროექტზე პასუხისმგებელმა პირმა (შემდგომში ხელმძღვანელმა) უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ამ გაერთიანების ძირითადი მიზნების შესახებ და აგრეთვე ამ გაერთიანების მიერ განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) პროექტში მონაწილე (ტრენერი, ექსპერტი ან სხვა პირი) პირთა „CV"-ები და თანხმობის წერილ(ებ)ი.

4. წარმოდგენილ სტუდენტურ პროექტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გადაწყვეტილების მიღების შესახებ სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა აცნობოს პროექტის ხელმძღვანელს/პასუხისმგებელ პირს, მის მიერ მითითებულ ტელეფონის ნომერზე ან/და ელექტრონულ ფოსტაზე, კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებიდან 3 სამუშაო დღის განმავლობაში.

5. საგანმანათლებლო, კულტურულ-შემოქმედებითი ან სპორტული მიმართულების სტუდენტური პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს 30 000 ლარს, ხოლო სტუდენტური პროექტის განხორციელების პერიოდი სასურველია არ აღემატებოდეს 3 თვეს.

6. ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს დაევალოს წინამდებარე ბრძანებით გამოცხადებული კონკურსის შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და პროექტის განაცხადის და საბიუჯეტო განაცხადის ფორმებთან, ასევე კონკურსის ჩატარების მარეგულირებელ სამართლებრივ აქტებთან ერთად ბსუ-ს ვებგვერდზე და ბსუ-ს პორტალზე განთავსებისათვის წარდგენა, ასევე გამოცხადებული კონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება ბსუ-ს ელექტრონული რესურსებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით.

7. ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველი - კონკურსები; იურიდიული ცნობარი) წინამდებარე ბრძანება, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილება, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძნანება, ,,ბსუ-ს სტუდენტურ პროექტებზე გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობისა და სტუდენტური პროექტის საბიუჯეტო განაცხადის ფორმის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის N01-10/49 ბრძანება,** ,,ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების ანგარიშის წარმოდგენის შესახებ განაცხადის და შესრულების ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01-02/105 ბრძანება.**

8. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (ა. ბერიძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მ. ხალვაში**